საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/166 „ 26 „ მარტი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა-ნაგებობის მშენებლობისა და მშენებლობასთან დაკავშირებული დეტალური საინჟინრო გადაწყვეტილების (პროექტის) მომზადების მიზნით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის ცალკეული დავალებების მიცემის შესახებ

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის“ მე-9 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობისათვის გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პირობები:

ა) შენობა-ნაგებობას უნდა გააჩნდეს ყოველდღიურად არანაკლებ 1000 ვიზიტორის მიღების შესაძლებლობა;

ბ) შენობა-ნაგებობაში უნდა განთავსდეს სასამართლოს პერსონალი 600 პირის ოდენობით, მათ შორის 80 მოსამართლე;

გ) შენობა-ნაგებობაში უნდა განთავსდეს 50 სხდომის დარბაზი, მათ შორის:

გ.ა) სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიისათვის - 30 სხდომის დარბაზი (მათ შორის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს სხდომებისათვის განკუთვნილი 5 დარბაზი);

გ.ბ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის - 20 სხდომის დარბაზი.

დ) შენობა-ნაგებობები სრულად უნდა იყოს ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

2. დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობისა და მშენებლობასთან დაკავშირებული დეტალური საინჟინრო გადაწყვეტილების (პროექტის) მომზადების მიზნით შესაბამისი შესყიდვის პროცედურების განხორციელების უზრუნველსაყოფად გაითვალისწინოს ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში მითითებული პირობები.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობისათვის გასათვალისწინებელი პირობების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №1/66 გადაწყვეტილება.

4. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი